საავტომობილო საწვავის (ბენზინი, დიზელი) ბაზრის მონიტორგინის შუალედური ანგარიში

2023 წელი

1. ზოგადი მიმოხილვა

2023 წელს ქვეყანაში 54 ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელდა 1 541 612 ათასი ლიტრი ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტი. ბაზრის იმპორტის დონის კონცენტრაციის (HHI) ინდექსმა შეადგინა 1381 ერთეული, რაც ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია.[1] 3 ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ეკონომიკური აგენტის წილი საერთო იმპორტში შეადგენს 54%-ს, 5 იმპორტიორის - 67%-ს. ბაზრის იმპორტის დონეზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ კომპონენტს საბაზრო წილების სახით.

საწვავის ყველაზე დიდი მოცულობის იმპორტი განხორციელდა რუსეთის ფედერაციიდან - 62.5%, რომელსაც მოყვება რუმინეთი - 15.3% და ბულგარეთი - 9.4%:

გრაფიკი 1



[1] სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით: ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საფუძველზე, სასაქონლო ბაზრები კონცენტრაციის დონეების მიხედვით ფასდება - დაბალკონცენტრირებულ, ზომიერად კონცენტრირებულ და მაღალკონცენტრირებულ სასაქონლო ბაზრებად: ა) დაბალკონცენტრირებული - HHI<1250; ბ) ზომიერად კონცენტრირებული - 1250<HHI<2250; გ) მაღალკონცენტრირებული - HHI>2250.

2023 წლის მაისის თვიდან, იმპორტი რუსეთის ფედერაციიდან ხასიათდება შემცირების ტრენდით, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ნოემბრის თვეში:

გრაფიკი 2



2023 წელს, შესაბამისი ბაზრის საცალო დონეზე 1194 ავტოგასამართი სადგურის ოპერირებას ახორციელებდა 378 კომპანია. ბაზრის კონცენტრაციის - ჰერფინდალ ჰირშმანის მაჩვენებელმა შეადგინა 1107 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ბაზრის საცალო დონეზე 3 ყველაზე მსხვილი კომპანიის წილი შეადგენს 50.8%-ს, 5 კომპანიის - 66.2%-ს. შესაბამისი ბაზრის საცალო დონეზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ კომპონენტს საბაზროს წილების სახით.

2. საცალო ფასები

საწვავის საცალო ბაზარზე, 2023 წლის პირველი ნახევარი ხასიათდებოდა ფასების შემცირების, ხოლო მეორე ნახევარი ფასების ზრდის ტრენდით. 2024 წლის იანვრის თვეში ასევე ადგილი აქვს საცალო ფასების შემცირებას:

გრაფიკი 3



	1-Jan-2023	1-Feb-2023	1-Mar-2023	1-Apr-2023	1-May-2023	1-Jun-2023	1-Jul-2023	1-Aug-2023	1-Sep-2023	1-Oct-2023	1-Nov-2023	1-Dec-2023	1-Jan-2024	30-Jan-2024
სოკარი	2.90	2.82	2.49	2.35	2.35	2.35	2.50	2.62	2.74	3.11	3.17	3.17	3.17	3.03
ვისოლი	2.94	2.79	2.35	2.35	2.35	2.39	2.52	2.63	2.72	3.09	3.22	3.22	3.22	3.04
ლუკოილი	2.95	2.78	2.3	2.28	2.23	2.28	2.4	2.5	2.69	3.05	3.13	3.13	3.13	2.98
რომპეტროლი	2.99	2.84	2.49	2.35	2.35	2.35	2.53	2.6	2.65	2.93	3.15	3.2	3.22	3.12
გალფი - G Force ევრო რეგულარი	2.89	2.79	2.39	2.35	2.35	2.47	2.53	2.75	2.89	3.17	3.23	3.29	3.24	3.09
გალფი - რეგულარი	2.79	2.69	2.29	2.25	2.25	2.37	2.43	2.65	2.79	3.07	3.13	3.19	3.14	2.99
მცირე ქსელების სეგმენტი	2.35	2.30	2.20	2.15	2.15	2.3	2.35	2.41	2.57	2.90	3.15	2.8	2.8	2.69

გრაფიკი 4



	1-Jan-2023	1-Feb-2023	1-Mar-2023	1-Apr-2023	1-May-2023	1-Jun-2023	1-Jul-2023	1-Aug-2023	1-Sep-2023	1-Oct-2023	1-Nov-2023	1-Dec-2023	1-Jan-2024	30-Jan-2024
სოკარი	3.20	3.06	2.85	2.69	2.69	2.69	2.76	2.86	2.98	3.31	3.34	3.34	3.34	3.19
ვისოლი	3.19	3.09	2.79	2.69	2.69	2.69	2.77	2.88	2.98	3.24	3.35	3.35	3.35	3.19
ლუკოილი	3.15	2.98	2.64	2.58	2.53	2.58	2.68	2.78	2.93	3.27	3.3	3.3	3.3	3.15
რომპეტროლი	3.24	3.09	2.89	2.69	2.69	2.69	2.77	2.8	2.87	3.18	3.35	3.35	3.35	3.24
გალფი	3.09	2.99	2.65	2.59	2.59	2.71	2.77	2.95	3.09	3.37	3.37	3.37	3.32	3.19
მცირე ქსელების სეგმენტი	2.95	2.90	2.75	2.42	2.42	2.5	2.55	2.68	2.74	3.05	3.3	3.04	2.99	2.89

გრაფიკი 5



	1-Jan-2023	1-Feb-2023	1-Mar-2023	1-Apr-2023	1-May-2023	1-Jun-2023	1-Jul-2023	1-Aug-2023	1-Sep-2023	1-Oct-2023	1-Nov-2023	1-Dec-2023	1-Jan-2024	30-Jan-2024
სოკარი	3.95	3.85	3.60	3.55	3.40	3.26	3.11	3.06	3.05	3.37	3.49	3.49	3.49	3.38
ვისოლი	3.89	3.79	3.49	3.39	3.29	3.14	3.04	2.92	2.92	3.34	3.49	3.53	3.53	3.39
ლუკოილი	3.85	3.75	3.53	3.48	3.3	3.15	2.99	2.9	3.04	3.3	3.4	3.45	3.45	3.3
რომპეტროლი	3.92	3.79	3.59	3.55	3.37	3.19	3.17	3.12	3.12	3.28	3.44	3.53	3.56	3.44
გალფი	3.89	3.79	3.59	3.49	3.37	3.19	3.09	2.99	3.15	3.45	3.55	3.55	3.5	3.39
მცირე ქსელების სეგმენტი	3.60	3.55	3.45	3.10	3	2.9	2.85	2.85	2.85	3.05	3.3	3.3	3.3	3.05

საცალო ფასებთან დაკავშირებით, სააგენტო დამატებით მსჯელობს საქართველოს ბაზარზე არსებულ ფასებს და ევროპული საწვავის მომწოდებელ ძირითად ქვეყნებში (ბულგარეთი და რუმინეთ) არსებული ფასების ტრენდზე:

გრაფიკი 6



3. ფასნამატი

მონიტორინგის ფარგლებში, სააგენტო უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს დაკვირვებას ბენზინისა და დიზელის საცალო ბაზარზე არსებულ ფასებზე და ყველა იმ ფაქტორზე, რაც თავის მხრივ მონაწილეობას ღებულობს ყოველდღიური საცალო სარეალიზაციო ფასის ჩამოყალიბებაში. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ორ ფაქტორს - 1. ლარის გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებით და 2. Platts - ის ფასი, რაც თავის მხრივ წარმოადგენს იმპორტიორი კომპანიის მიერ საწვავის შესასყიდ საორიენტაციო ფასს. თუმცა, 2022 წლიდან, ქვეყანაში საწვავის იმპორტი ძირითადად ხორციელდება რუსეთის ფედერაციიდან. ამ უკანასკნელს გააჩნია გაცილებით უკეთესი ფასი, ვიდრე ევროპული წარმოშობის საწვავს. შესაბამისად, მონიტორინგის ფარგლებში, სააგენტო უპირველეს ყოვლისა ყურადღებას ამახვილებს კომპანიების მიერ ფაქტიურად იმპორტირებული საწვავის ფასზე, ლარის გაცვლით კურსთან ერთად. ამასთან, მნიშვნელოვანია საცალო ფასის მდგენელი სხვა ფაქტორები, კერძოდ ქვეყანაში მოქმედი გადასახადები და კომპანიის საორიენტაციო საოპერაციო ხარჯები. ყოველივე აღნიშნული იძლევა შესაძლებლობას, მოხდეს დაკვირვება თუ როგორ იცვლებოდა კომპანიების ფასნამატი განსახილველ პერიოდში. გრაფიკებზე (N7-12) მოცემულია ბაზარზე მოქმედი 5 მსხვილი კომპანიის საცალო - ტაბლოს ფასი და მისი კომპონენტები:[2]

---

[2] **საბაჟო ღირებულება**: ქვეყანაში იმპორტირებული საწვავის ყოველთვიური საშუალო შეწონილი ფასი - გადასახადების გარეშე;

აქციზი: ბენზინის ტიპის საწვავი - 500 ლარი 1 ტონაზე -0.37 ლარი 1 ლიტრზე. დიზელის ტიპის საწვავი - 400 ლარი 1 ტონაზე - 0.34 თეთრი 1 ლიტრზე;

დღგ - მონაცემი დაანგარიშებულია ტაბლოს ფასიდან, შესაბამისად ის მოიცავს როგორც საქონლის იმპორტის დროს, ასევე საცალო რეალიზაციის შედეგად გადახდილ დამატებითი ღირებულების გადასახადს;

საოპერაციო დანახარჯი - საშუალო მაჩვენებელი, რაც აერთიანებს საწვავის იმპორტიდან საცალო მომხმარებლამდე მიტანის ყველა შესაძლო ხარჯს;

საცალო/ტაბლოს ფასი - ყოველთვიურად მოცემულია თვის ბოლო პერიოდში არსებული ფასი, შესაბამისად ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის (თვე), მაქსიმალურად გათვალისწინებულია კომპანიების ქმედება როგორც ფასის მატების, ასევე კლების მიმართულებით;

ფასნამატი - სხვაობა ტაბლოს ფასს და ზემოაღნიშნულ ყველა ცვლადს შორის.

გრაფიკი 7



გრაფიკი 8



გრაფიკი 9



გრაფიკი 10



გრაფიკი 11



გრაფიკი 12



აღსანიშნავია, რომ ბაზარზე მოქმედი მსხვილი კომპანიების დონეზე მოქმედებს ფასდაკლების/ლოიალობის სხვადასხვა პროგრამები/აქციები, რაც იძლევა 1 ლიტრ საწვავზე დაგროვებითი ან/და კვირის კონკრეტულ დღეებში დამატებით 5/10/15 თეთრიანი ფასდაკლების მიღების შესაძლებლობას, რაც ფასდაკლების მოქმედების პერიოდში ამცირებს ფასნამატის მაჩვენებელს.

მონიტორინგის შუალედური ანგარიშის ძირითადი მიგნებები:

1. ბაზრის იმპორტის, ისევე როგორც საცალო რეალიზაციის დონე ბოლო წლების განმავლობაში ხასიათდება სტაბილურობით - მოქმედი კომპანიების, საბაზრო წილების და ბაზრის კონცენტრაციის ინდექსის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბაზრის საცალო დონე დაბალკონცენტრირებულია, ხოლო იმპორტის დონის კონცენტრაციის ინდექსი მხოლოდ მცირედით აღემატება დაბალკონცენტრირებული ზღვრის მაქსიმალურ ნიშნულს. ამასთან, საცალო ბაზარზე მოქმედი კომპანიების დიდი ნაწილი უშუალოდ არ ახორციელებს საწვავის იმპორტს, რაც ნიშნავს იმას, რომ ბაზრის ამ დონეზე რენტაბელური ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია უშუალო იმპორტის არ არსებობის პირობებში;

2. 2022 წლის მსგავსად, 2023 წელსაც საწვავის იმპორტის ძირითად ნაწილი ხორციელდებოდა რუსეთის ფედერაციიდან, თუმცა 2023 წელს იმპორტი შემცირების ტრენდით გამოირჩევა (გრაფიკი 1);

3. 2023 წლის პირველი ნახევარი გამოირჩეოდა საცალო ფასების შემცირებით, რეგულარის მარკის საწვავის შემთხვევაში ფასი შემცირდა 50-70 თეთრით 1 ლიტრზე, პრემიუმის შემთხვევაში 50-60 თეთრით, ხოლო დიზელის შემთხვევაში აგვისტოს თვის ჩათვლით ფასი შემცირდა 75-90 თეთრით (გრაფიკი N3-5);

4. 2023 წლის მეორე ნახევარში ფიქსირდება ფასების ზრდა, რეგულარის მარკის საწვავზე ფასი გაიზარდა 77-87 თეთრით, პრემიუმის შემთხვევაში 60-70 თეთრით, ხოლო დიზელის შემთხვევაში ფასი გაიზარდა 35-50 თეთრით (გრაფიკი N3-5);

5. 2023 წლის მეორე ნახევარში, საწვავის ფასი საქართველოს მსგავსად ზრდის ტრენდით ხასიათდებოდა საქართველოსთვის საწვავის მომწოდებელ ძირითად ევროპულ ქვეყნებში (რუმინეთი, ბულგარეთი). მაქსიმალური ფასი საქართველოში დაფიქსირდა ოქტომბრის თვეში, ხოლო რუმინეთსა და ბულგარეთში სექტემბრის თვეში. მაქსიმალური ნიშნული შემდეგ, ფასი საქართველოში შემცირდა საშუალოდ 1 ლიტრზე 15 თეთრით, ხოლო რუმინეთსა და ბულგარეთში 30 თეთრით პერიოდში;

6. 2023 წლის მეორე ნახევარში, საცალო ფასების ზრდასთან ერთად, გაიზარდა სხვაობა მსხვილი კომპანიების და მცირე ქსელების საცალო ფასებს შორის. მაგ. რეგულარის მარკის საწვავზე, მსხვილ კომპანიებს და მცირე ქსელებს შორის სხვაობა 2023 წლის ნოემბრის თვემდე შეადგენდა 10-20 თეთრს, ხოლო 2023 წლის ნოემბრის თვიდან 30-35 თეთრს;

7. 2023 წლის ოქტომბერი-დეკემბრის პერიოდში, მსხვილი კომპანიების შემთხვევაში, წინა პერიოდთან შედარებით, ადგილი აქვს გაზრდილი ფასნამატის მიღებას. აღნიშნული შესაძლოა კავშირში იყოს საწვავის მარაგებთან ან/და რუსეთის ფედერაციიდან იაფი საწვავის იმპორტის შემცირებულ მაჩვენებელთან. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მსხვილი კომპანიების ნაწილი ოპერირებებს მხოლოდ ევროპული საწვავით, შესაბამისად ევროპული საწვავის შემთხვევაშიც ადგილი აქვს გაზრდილი ფასნამტის მიღებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტო აგრძელებს ბენზინისა და დიზელის ბაზრის, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის ბაზრის მონიტორინგს. 2023 წლის ბოლო პერიოდში, საცალო ფასთან დაკავშირებული ქმედებების შეფასებისთვის საჭიროა ერთობლივი ანალიზი 2024 წლის პირველ კვარტალთან ერთად.